


**სექტორის მიმოხილვა**

**ზოგადი ტენდენციები**


საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) ახლახან გამოაქვეყნა 2022 წლის II კვარტლის ეკონომიკური მიმოხილვა. პუბლიკაციის თანახმად, 2022 წლის მე-2 კვარტალში სოფლის მეურნეობის სექტორში წარმოება 10.9%-ით გაიზარდა 2021 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. ამავე პერიოდში სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 8.3% შეადგინა.

სექტორში დაფიქსირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) ზრდის დადებითი ტენდენციაც. 2022 წლის მე-2 კვარტალში FDI-ის მაჩვენებელმა სოფლის მეურნეობაში 3.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (2021 წლის იმავე პერიოდში ეს მაჩვენებელი -1.7 მლნ აშშ დოლარი იყო). თუმცა ეკონომიკის სხვა სექტორებთან შედარებით FDI სოფლის მეურნეობაში დაბალი იყო (0.9%).

**მთლიანი გამოშვების სტრუქტურა, II კვარტალი, 2022**



**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, II კვარტალი, 2022**




წყარო: საქსტატი, 2022

24 აგვისტოს "რთველი 2022" დაიწყო. წინა წლების მსგავსად, საქართველოს მთავრობა კვლავ დაასუბსიდირებს 2022 წლის ყურძნის მოსავალს, რათა დაეხმაროს ფერმერებსა და ღვინის მწარმოებლებს თავიანთი პროდუქციის გაყიდვაში. „რთველი 2022-ის“ ფარგლებში, ღვინის კომპანიები იმ შემთხვევაში მიიღებენ სუბსიდიას, თუ სულ მცირე 100 ტონა რქაწითელს ან კახურ მწვანეს შეიძენენ და გადაამუშავებენ და 1კგ ადნიშნულ ჯიშის ყურძენში სულ მცირე 0.90 ლარს გადაიხდიან. ასეთ შემთხვევაში, გადახდილი 0.90 ლარიდან 0.35 ლარი სუბსიდირებული იქნება.

30 სექტემბრის მონაცემებით, დაახლოებით 211.1 ათასი ტონა ყურძენი გაიყიდა და ფერმერების შემოსავალმა 247.9 მლნ ლარი შეადგინა. ვინაიდან რთველი ჯერ არ დასრულებულა, ყურძნის გაყიდვებისა და ფერმერების მთლიანი შემოსავლის შესახებ საბოლოო სტატისტიკა ჯერ არ არის ხელმისაწვდომი.

ადნიშნული პროგრამის ფარგლებში, მოსავლის გაყიდვას 25 000-მდე ფერმერი შეძლებს. მოსავლის აღების, დასაწყობებისა და სხვა დაკავშირებულ საქმიანობაში მონაწილეობას 300-მდე ღვინის კომპანია მიიღებს. საქართველოს მთავრობამ, 2022 წლის ყურძნის მოსავლის სუბსიდირებისთვის 150 მლნ ლარი გამოყო.



წყარო: ღვინის ეროვნული სააგენტო, 2022; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მენიშვნა: 2022 წლის მონაცემები აღებულია 2022 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით.


## ფასების მიმოხილვა

### ადგილობრივი ფასები


2022 წლის ივნის-აგვისტოს პერიოდში ქვეყანაში ფასების დონე სტაბილური იყო. 2022 წლის აგვისტოში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) ივლისთან შედარებით თითქმის უცვლელი დარჩა, მხოლოდ 0.14%-ით გაიზარდა. 2022 წლის ივლისში კი CPI წინა თვესთან შედარებით უმნიშვნელოდ (0.2%-ით) გაიზარდა, რაც გაზაფხულის რყევების შემდეგ, შესაძლოა ფასების დასტაბილურებაზე მიუთითებდეს.

2022 წლის ივნის-აგვისტოს პერიოდში, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფშიც (FPI) ფასების დონე თვიურ შრილში სტაბილური იყო. 2022 წლის აგვისტოში სურსათის ფასები უმნიშვნელოდ, 0.9%-ით გაიზარდა 2022 წლის ივლისთან შედარებით, ხოლო ივნისსა და ივლისში თვიურ შრილში ფასების ცვლილების შესაბამისი მაჩვენებელი 0.1% და -1.4% იყო.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით (ივნისი-აგვისტო 2022)



სურსათის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით (ივნისი-აგვისტო 2022)




წყარო: საქსტატი, 2022. შენიშვნა: წინა თვის ინდექსის მაჩვენებელი 100 იყო.

2022 წლის ივნის-აგვისტოს პერიოდში, წლიურ შრილში CPI ზრდას განაგრძობდა. 2022 წლის ივნისში CPI 2021 წლის ივნისთან შედარებით 12.8%-ით გაიზარდა, ივლისსა და აგვისტოში ფასების შესაბამისი ცვლილება 11.8% და 10.9%-ს შეადგენდა.

2022 წლის აგვისტოში, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფშიც ფასების წლიური მაჩვენებელი მნიშვნელოვნად, 15.8%-ით გაიზარდა, რამაც CPI 5.14 პროცენტული პუნქტით გაზარდა. ძირითადი გავლენა მოახდინა ფასების ზრდამ შემდეგ ქვეჯგუფებში:

სამომხმარებლო ფასებისა და სურსათის ფასების ინდექსების წლიური ცვლილება



პური და პურპროდუქტები (32.4%<sup>1</sup>)

რძე, ყველი და კვერცხი (20.8%<sup>1</sup>)



მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (20.3%<sup>1</sup>)

წყარო: საქსტატი, 2022


## უფრო ვრცლად სურსათის ფასებზე

გასული წლის განმავლობაში ბოსტნეულის ქვეჯგუფში ფასები იზრდებოდა. 2022 წლის აგვისტოში ბოსტნეულის ფასებმა კლება დაიწყო: წლიურ ჭრილში, ბოსტნეულის ფასები 9.6%-ით შემცირდა, თვითურ ჭრილში კი – 6.6%-ით. საქსტატის ინფორმაციით, 2022 წლის აგვისტოში ბოსტნეულის ქვეჯგუფში ფასები შემცირდა შემდეგ პროდუქტებზე: ბადრიჯანი (-44.9%), კიტრი (-44.1%), კომბოსტო (-39.9%), ჭარხალი (-28.9%), წიწაკა (-24.1%), კარტოფილი (-22.2%), სტაფილო (-19.8%) და პომიდორი (-4.3%). ფასები კი გაიზარდა შემდეგ პროდუქტებზე: ხახვი (21.3%), მწვანილი (6.2%), ხმელი ლობიო (4.8%), ნიორი (4.5%) და მწვანე ლობიო (4.2%).

ბოსტნეულის ფასების შემცირება შეიძლება იყოს გაზრდილი წარმოების ან ე.წ. საბაზისო წლის ეფექტი. 2021 წელს ბოსტნეულის წარმოება 15%-ით შემცირდა –176.1 ათასი ტონიდან 149 ათას ტონამდე. 2021 წელს, ბოსტნეულის მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებელი 7%-ით შემცირდა – 11.1-დან 10.3 ტონამდე ყოველ ჰექტარზე. ადგილობრივი წარმოებისა და მოსავლიანობის მაჩვენებლის ასეთმა კლებამ 2021 წელს ბოსტნეულის ფასების ზრდა განაპირობა და, შესაბამისად, შესაძლოა გავლენა იქონია ფასებისა და იმპორტის ზრდაზე 2022 წლის პირველ ნახევარში. 2022 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში, ბოსტნეულის იმპორტის მაჩვენებელი ყველა თვეში უფრო მაღალი იყო, ვიდრე 2021 წლის შესაბამის თვეებში, ხოლო აგვისტოში ბოსტნეულის იმპორტი 28%-ით შემცირდა.

ამავდროულად, 2022 წლის აგვისტოში, გასული წლის აგვისტოსთან შედარებით, ბოსტნეულის ექსპორტი სამჯერ მეტად გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის შიდა წარმოების სტატისტიკა ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, აგვისტოში იმპორტის შემცირება და ექსპორტის ზრდა შეიძლება ბოსტნეულის ადგილობრივი წარმოების ზრდაზე მიუთითებდეს.

ბოსტნეულის ფასების წლიური ცვლილება (აგვისტო 2022 / აგვისტო 2021)




წყარო: საქსტატი, 2022

## საერთაშორისო ფასები

2022 წლის ივნის-აგვისტოს პერიოდში სურსათის საერთაშორისო ფასები თვითურ ჭრილში მცირდებოდა, თუმცა კვლავ საგრძნობლად მაღალი იყო წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. 2022 წლის აგვისტოში სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი მკვეთრად გაიზარდა (7.9%) 2021 წლის აგვისტოსთან შედარებით. ფასების ყველაზე დიდი ზრდა რძის პროდუქტების (23.5%), მარცვლეულისა (11.5%) და ხორცის (8.2%) ფასების შემთხვევაში დაფიქსირდა, შაქრის (-8.4%) და მცენარეული ზეთის (-1.5%) ფასები კი შემცირდა. 2022 წლის აგვისტოში [გაეროს შუამდგომლობით შავი ზღვის მარცვლეულის ინიციატივის](#) ფარგლებში, უკრაინის შავი ზღვის პორტებიდან ხუთთვიანი პაუზის შემდეგ განახლდა ხორბლის ექსპორტი, რამაც შესაძლოა თვითურ ჭრილში მარცვლეულისა და ზეთის ფასების შემცირებას შეუწყოს ხელი.

საერთაშორისო ფასების წლიური ცვლილება (ივნისი - აგვისტო 2022)



წყარო: FAO, 2022.


## საერთაშორისო ვაჭრობა

2022 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში საქართველოს მთლიანი ექსპორტი 2021 წლის იმავე პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად, 37%-ით გაიზარდა (2,608 მლნ აშშ დოლარიდან 3,571 მლნ აშშ დოლარამდე). აღნიშნულ პერიოდში აგრო ექსპორტი 10%-ით გაიზარდა (2021 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში არსებული 683 მლნ-დან 750 მლნ აშშ დოლარამდე 2022 წელს). მთლიანობაში, აგრო ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 2022 წელს 2021 წელს არსებული 26%-დან 21%-მდე შემცირდა.


2022 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში საქართველოს მთლიანი იმპორტიც მნიშვნელოვნად, 37%-ით გაიზარდა: 6,126 მლნ აშშ დოლარიდან 8,365 მლნ აშშ დოლარამდე. იმავე პერიოდში აგრო იმპორტიც, მთლიანი იმპორტის მსგავსად, 37%-ით გაიზარდა და 2021 წელს არსებული 812 მლნ აშშ დოლარიდან 2022 წელს 1,111 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. შესაბამისად, აგრო იმპორტის წილი მთლიანი იმპორტში არ შეცვლილა და კვლავ 3% -ს შეადგენს.

აღნიშნული ტენდენციებიდან ჩანს, რომ ვაჭრობა ინარჩუნებს მნიშვნელოვან როლს ეკონომიკის აღდგენაში. იმისდა მიუხედავად, რომ ზაფხულში ეროვნული ვალუტა გამყარდა, ექსპორტის მნიშვნელოვანი დადებითი ტენდენცია შენარჩუნდა. ამავდროულად, ვალუტის გამყარებას შესაძლოა გარკვეული როლი ეთამამა იმპორტის ზრდის წახალისებაში.

მთლიანი და აგრო ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)



მთლიანი და აგრო იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)




წყარო: საქსტატი, 2022.

შენიშვნა: აგრო ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები მოიცავს სურსათსაც.

2022 წლის ივლისში საქართველოს მთლიანმა ექსპორტმა თვიურ ჭრილში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და 542 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 40%-ით აღემატება 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (386 მლნ აშშ დოლარს). 20%-ით გაიზარდა აგრო ექსპორტიც – 2021 წლის ივლისში არსებული 104 მლნ-დან 125 მლნ აშშ დოლარამდე 2022 წლის ივლისისთვის.

ხუთი ძირითადი საექსპორტო საქონლის გარდა, ივლისში გამოიკვეთა ახალი ხილის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა, კერძოდ, ახალი გარგრის, ალუბლის და ბლის, ატმის, ქლიავისა და ღოღნოშოს კატეგორიაში.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილია ხილის ექსპორტის დინამიკა წლების მიხედვით. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სურსათის ამ კატეგორიის ექსპორტში შესამჩნევი ზრდაა (2016 წლიდან საშუალოდ 64%-ით), რომელიც ასევე ფიქსირდება 2022 წლისთვის (30 მლნ აშშ დოლარი იანვარ-აგვისტოს პერიოდში). ეს ტენდენცია, სავარაუდოდ, დაკავშირებულია შიდა წარმოების ზრდასა და გაზრდილ ექსპორტთან რუსეთში, რომელიც ქართული ხილის მთავარ საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს. 2014 წელს, საქართველოდან აგრო იმპორტზე შეზღუდვის მოხსნის შემდეგ, რუსეთში ხილის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. შესაბამისად, გაიზარდა ხილის ექსპორტის დამოკიდებულება რუსეთის ბაზარზე, რის შედეგადაც გაიზარდა წარმოება, თუმცა შემცირდა ბაზრის დივერსიფიკაცია.



წყარო: საქსტატი, 2022

შენიშვნა: აგრო ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები მოიცავს სურსათსაც.

## პოლიტიკის მიმოხილვა

### ტექნიკური რეგლამენტი სურსათის (სასურსათო) დანამატების შესახებ“ 2023 წლის პირველი ივნისიდან ამოქმედდება

საქართველოს მთავრობამ ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოების ფარგლებში შეიმუშავა და დამტკიცა დადგენილების პროექტი „ტექნიკური რეგლამენტი სურსათის (სასურსათო) დანამატების შესახებ“, რომელიც 2023 წლის 1 ივნისიდან შევა ძალაში. აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტით განისაზღვრა ვიტამინებისა და მინერალების ჩამონათვალი, ასევე მათი ქიმიური ფორმები, რომელთა გამოყენებაც დასაშვებია სურსათის (სასურსათო) დანამატების წარმოებაში. სურსათის (სასურსათო) დანამატი უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიზნესსოპერატორს არ ექნება მათ ბაზარზე გაყიდვის უფლება.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ბმულს: <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20929/>

### საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიაში ცვლილება შვა

2022 წლის 8 აგვისტოს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ცვლილება შედის საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიაში და მტკიცდება ახალი 2022-2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა. აღნიშნული ცვლილებით, არსებულ ცნრა მიზანს ემატება ოთხი ახალი სტრატეგიული მიზანი: სახიფათო ნარჩენების მართვის გაუმჯობესება, პლასტიკის ნარჩენების მართვა, ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სისტემების შექმნა და დანერგვა, ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვის გაუმჯობესება. სტრატეგიისა და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებას კოორდინაციას გაუწევს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ბმულს: <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20960/>

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი  
სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების  
კვლევითი ცენტრი

ავტორები: სალომე დეისაძე: [s.deisadze@iset.ge](mailto:s.deisadze@iset.ge)  
ელენე სეთურიძე: [elene.seturidze@iset.ge](mailto:elene.seturidze@iset.ge)  
სალომე გელაშვილი: [s.gelashvili@iset.ge](mailto:s.gelashvili@iset.ge)